

07/09/2026



MES 6 26 0001161310

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი**

ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა Zoom-ის გამოყენებით **2026 წლის 26 აგვისტოს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Time: Aug 26, 2026 12:00 PM Tbilisi,

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=83232439508>

Meeting ID: 223 495 9888

Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში –საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს თავმჯდომარე);

ხათუნა ჩხარტიშვილი – სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნათია ბუთხუზი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი (საბჭოს მდივანი);

გიორგი ვეკუა – სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ეკატერინე გიგაშვილი – პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

გოჩა გოგიტიძე – სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი (საბჭოს წევრი);

გოგიტა მშვენიერაძე – ა(ა)იპ – სამშენებლო კოლეჯ „კონტრუქტ2“-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი (საბჭოს წევრი)

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში –ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ჭუჭულაშვილი – პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნათია მჭედლიძე – პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ვალერი ჯაჯანიძე

მიმოზა ღოლიჯაშვილი

ირმა არსენაშვილი

შორენა ალაგარდაშვილი

თინათინ ბურძენიძე

ქეთევან გელაშვილი

თეა მახათელაშვილი

ეკა ბუთხუზი

მარიამ ჭაბუკიანი

ანნა ლობჯანიძე

თათია ბრეგვაძე

ზურაბ მესხიძე

რატი სხირტლაძე

თორნიკე თუთარაშვილი

ზურაბ მესხიძე

ალექსანდრე კეკენაძე

თათია გივიშვილი

დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

თეიმურაზ ასათიანი - დირექტორი;

ნანა ბატიაშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი;

შპს „სქილვილი“

კონსტანტინე შუბითიძე - აკადემიური დირექტორი

ქეთევან ციხისელი - დირექტორის მოადგილე

შპს თავისუფალი ხედვის აკადემია

იოსებ აბესაძე - დირექტორი;

თამარ კურტანიძე - დირექტორის მოადგილე;

ჟანა მარგებაძე - საექთნო განათლების პროგრამის ხელმძღვანელი;

ნინო ვასაძე - ხარისხის უზრუნველყოფის, კვლევების და ვერიფიკაციის უზრუნველყოფის მიმართულების მენეჯერი;

დაწყების დრო – 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განაცხადა, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მეფუტკრეობა (მცხეთა, თიანეთი)\", „მეხილეობა (მცხეთა)\", „აგრარული ტექნიკის შეკეთება (მცხეთა)\" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მევენახეობა და მეღვინეობა\" (მცხეთა), „მებაღეობა\" (მცხეთა) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს „სქილვილისთვის\" \"მონაცემთა ანალიტიკის\", „IT პროექტების მართვის\", „ციფრული მარკეტინგის\", \"პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების\", „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების\" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს \"სქილვილისთვის\" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „IT ინფრასტრუქტურის მართვა\", \"პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი\", „Front-end პროგრამირება\", \"კომპიუტერული ქსელი და სისტემები\" სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის \"საექთნო განათლება\" დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მეფუტკრეობა (მცხეთა, თიანეთი)\", „მეხილეობა (მცხეთა)\", „აგრარული ტექნიკის შეკეთება (მცხეთა)\" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაც ილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაც ილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, წარმოადგინა დეტალური პრეზენტაცია. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვალერი ჯაჯანიძე (თავმჯდომარე), მიმოზა ღოლიჯაშვილი (ხარისხის ექსპერტი), ნიკოლოზ კიკნაველიძე (დარგის ექსპერტი მეხილეობაზე) და ირმა არსენაშვილი (დარგის ექსპერტი მეფუტკრეობაზე).

ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 14-16 ივლისს, სოფელ წინამძღვრიანკარში (მცხეთა) და თიანეთში.

შეფასების საგანს წარმოადგენდა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „აგრარული ტექნიკის შეკეთება“, „მეხილეობა და მეფუტკრეობა“ (ორი ლოკაციისთვის).

ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ხარვეზები არ გამოვლინდა. გაიცა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში სტილისტური, გრამატიკული და ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრას.

აგრარული ტექნიკის შეკეთების პროგრამისთვის გაიცა ორი განმავითარებელი რეკომენდაცია: პირველი ეხებოდა სასწავლო ტრაქტორის განახლებას 2 წლის შემდეგ, ხოლო მეორე - აგრარული ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოების მოძიებას და სასწავლო პროცესში გამოყენებას.

ექსპერტმა დეტალურად აღწერა თითოეული პროგრამის პარამეტრები, სასწავლო გარემო, მატერიალური რესურსები, ადამიანური რესურსი და ფინანსური მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარის კითხვაზე, ექსპერტმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში განხორციელებული ცვლილებები შიდა დოკუმენტაციაში ძირითადად ტექნიკური ხასიათის იყო და არ შეეხებოდა შინაარსობრივ საკითხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მეფუტკრეობა (მცხეთა, თიანეთი)", „მეხილეობა (მცხეთა)", „აგრარული ტექნიკის შეკეთება (მცხეთა)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ: 236098851) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები: „მეფუტკრეობა", „მეხილეობა", „აგრარული ტექნიკის შეკეთება" (დანართი 1).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 26 აგვისტო.

მეორე საკითხი: სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მევენახეობა და მეღვინეობა“ (მცხეთა), „მებაღეობა“ (მცხეთა) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, შორენა ალაგარდაშვილმა, წარმოადგინა დეტალური პრეზენტაცია. აღინიშნა, რომ მონიტორინგი იყო არაგეგმიური და გამოწვეული იყო კოლეჯის მხრიდან ცენტრისთვის ინფორმირებით სწავლების ფორმის ცვლილების შესახებ.

ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 14-16 ივლისს. შეფასების საგანს წარმოადგენდა ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „მევენახეობა და მეღვინეობა“ და „მებაღეობა“.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯს აქვს უნიკალური ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამისთვის. აღდგენილია 143 წლიანი ისტორიული მარანი, რომელიც აერთიანებს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ღვინის დაყენების ტექნოლოგიებს. აქვთ 2 ჰექტარი ვენახი 20-მდე ენდემური და უცხოური ვაზის ჯიშით.

გამოვლინდა რამდენიმე ხარვეზი, რომელთა უმეტესობაც შეფასდა მეტწილად შესაბამისად:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მევენახეობა-მეღვინეობა: ხარვეზები დაფიქსირდა 3 ლაბორატორიული ხელსაწყო (მჟავამზომი, სახდელი, 2 სატიტრავი) არარსებობასთან, პროფესიული განათლების მასწავლებლების პრაქტიკული კომპონენტის შეფასების კომპეტენციასთან, პროგრამის ხელმძღვანელის შესაბამის კომპეტენციასთან და პარტნიორი ლაბორატორიის გამტარუნარიანობასთან (5 სტუდენტი 15-ის ნაცვლად) დაკავშირებით. ყველა ხარვეზი კოლეჯის მიერ იქნა აღიარებული და შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი. ექსპერტთა მხრიდან შეფასება გადავიდა მეტწილად შესაბამისში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - მეზღვრობა: ხარვეზები ანალოგიური იყო მასწავლებლებისა და პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციებთან დაკავშირებით. ყველა ხარვეზი კოლეჯის მიერ იქნა აღიარებული და შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი. ექსპერტთა მხრიდან შეფასება გადავიდა მეტწილად შესაბამისში.

ორივე პროგრამისთვის: სტანდარტებთან შეუსაბამოდ დარჩა 2.4.2.2 ინდიკატორი (შეფასების ხარისხის კონტროლი - ვერიფიკაცია). ექსპერტები ვერ დაეთანხმნენ შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილ აქტივობებს, რადგან ხარვეზი სწორედ მექანიზმის შესაბამისად განხორციელების უუნარობა იყო, ხოლო მოგვარების გზად ისევ მექანიზმის შესაბამისად განხორციელება იყო მითითებული. დამატებით, ხარისხის მენეჯერი ახლად დასაქმებული იყო და არ ჰქონდა ამ პროცესების განხორციელების გამოცდილება.

საბჭოს განხილვისას დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებითი წერილები, სადაც აღნიშნული იყო კონკრეტული ნაბიჯები ვერიფიკაციის პროცესების გასამართად, მათ შორის პერსონალის გადამზადება და მასწავლებლის სახლთან თანამშრომლობა.

საკითხის განხილვისას, საბჭოს თავმჯდომარემ წამოჭრა კითხვა 2.4. კომპონენტთან დაკავშირებით, რადგან დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ ვიზიტის პერიოდში მრავალი რეგულაცია შეიცვალა. ექსპერტმა განმარტა, რომ ცვლილებები ძირითადად სტილისტური და ტექნიკური ხასიათის იყო, არა შინაარსობრივი.

განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელმა ნათია გვირგიშვილმა დაადასტურა მზაობა, რომ გაუწიოს კოლეჯს მხარდაჭერა პერსონალის კომპეტენციების გაძლიერებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ შესთავაზა, რომ 2.4. და 2.2 კომპონენტი გადავიდეს მეტწილად შესაბამისობაში კოლეჯის მიერ გადადგმული ნაბიჯების და დამატებით წარმოდგენილი განმარტებების გათვალისწინებით და გადაწყვეტილებაში შევიდეს სავალდებულო რეკომენდაცია 4 თვის ვადაში ვერიფიკაციის განახლებული სამოქმედო გეგმის და მტკიცებულებების წარდგენის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მევენახეობა და მეღვინეობა“ (მცხეთა), „მეზღვრობა“ (მცხეთა) მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, დასრულდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში „მევენახეობა და მეღვინეობის“ და „მეზღვრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგთან დაკავშირებით. ცვლილება განხორციელდეს და სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ 2022 წლის 29 სექტემბრის №1185760 გადაწყვეტილებაში, კერძოდ „მევენახეობა და მეღვინეობის“ და „მეზღვრობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარამეტრებში. გადაწყვეტილების

პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი 2).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 26 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში „მევენახეობა და მეღვინეობის“ და „მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე 2.2 და 2.4 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ექსპერტთა ადგილზე ვიზიტი. მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 14 დეკემბერი.

დაევალოს კოლეჯს 4 თვის ვადაში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინოს ვერიფიკაციის განახლებული სამოქმედო გეგმა და პერსონალის ტრენინგის მტკიცებულებები, ხოლო განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტრომ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა და სსიპ მასწავლებლის სახლმა გაუწიოს დაწესებულებას მეთოდოლოგიური მხარდაჭერა.

მესამე საკითხი: შპს „სელივილისთვის“ "მონაცემთა ანალიტიკის", „IT პროექტების მართვის“, „ციფრული მარკეტინგის“, "პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების", „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, წარმოადგინა დეტალური პრეზენტაცია ხუთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 21-23 ივლისს, ორ ლოკაციაზე: ბოჭამას ქუჩა №16 და ცოტნე დადიანის ქუჩა №30 (ახალი ლოკაცია).

შეფასდა მე-4 (ორგანიზაციული სტრუქტურა) და მე-5 (მატერიალური რესურსი) სტანდარტები დადიანის ლოკაციისთვის შეფასდა მეტწილად შესაბამისად.

შეფასების საგანს წარმოადგენდა 5 პროგრამა:

- ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები
- IT პროექტების მართვა
- ციფრული მარკეტინგი
- მონაცემთა ანალიტიკა
- პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება

ყველა პროგრამა შეფასდა სრულად შესაბამისად პროგრამული კომპონენტის მიხედვით. გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები 2.2.1.1 (მატერიალური რესურსის შეძენა) და 2.2.1.3 (მასწავლებლების ტრენინგები) ინდიკატორებზე.

ექსპერტმა დეტალურად აღწერა დადიანის ლოკაციის მდგომარეობა: სარემონტო სამუშაოები დასრულების ფაზაში იყო, მონტაჟდებოდა ლიფტი, ცენტრალური გათბობისა და უსაფრთხოების სისტემები. სივრცე მოიცავს 998,6 კვ.მ-ს (მე-2 სართულის ნაწილი და მე-3 სართული სრულად).

დაწესებულების წარმომადგენლებმა დამატებით განმარტეს ელემენტ პლატფორმის შესაძლებლობები, პერსონალის განვითარების გეგმები და დისტანციური სწავლების ორგანიზება.

საბჭოს წევრების კითხვებზე დადასტურდა, რომ დისტანციური სწავლება განხორციელდება 50 სტუდენტიან ჯგუფებად, ელემენტ პლატფორმაზე არის ინტეგრირებული ყველა საჭირო ფუნქცია, მათ შორის დავალებების მიცემა, შეფასება, უკუკავშირი და სრული მონიტორინგი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „სქილვილისთვის“ "მონაცემთა ანალიტიკის", „IT პროექტების მართვის“, „ციფრული მარკეტინგის“, "პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების", „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს „სქილვილს“ (ს/კ: 406258730) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამები "მონაცემთა ანალიტიკა", „IT პროექტების მართვა“, „ციფრული მარკეტინგი“, „პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირება“, „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები“(დანართი 3).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 26 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს „სქილვილში“ „მონაცემთა ანალიტიკის“, „IT პროექტების მართვის“, ციფრული მარკეტინგის“, „პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების“, „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ექსპერტთა ადგილზე ვიზიტი ორივე ლოკაციაზე (ბოჭორმას ქუჩა №16; დადიანის ქუჩა №30). მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 28 ოქტომბერი.

ხოლო მე-4 და მე-5 სტანდარტების მონიტორინგი ჩაინიშნოს 2026 წლის 12 ნოემბერს. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ექსპერტთა ადგილზე ვიზიტი ორივე ლოკაციაზე (ბოჭორმას ქუჩა №16; დადიანის ქუჩა №30).

მეოთხე საკითხი: შპს "სქილვილისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „IT ინფრასტრუქტურის მართვა“, "პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი", „Front-end პროგრამირება“, "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ელენე კაკაბაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, წარმოადგინა პრეზენტაცია ოთხ პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ.

ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 21-22 ივლისს. შეფასების საგანი იყო:

- კომპიუტერული ქსელი და სისტემები (გაზრდა 160-ით);
- IT ინფრასტრუქტურის მართვა (გაზრდა 200-ით);
- Front-end პროგრამირება (გაზრდა 120-ით);
- პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი (გაზრდა 160-ით).

ჯამური გაზრდა შეადგენს 640 ახალ ადგილს, აქედან 480 დასწრებული და 160 დისტანციური ფორმით.

ყველა პროგრამა შეფასდა სრულად შესაბამისად მე-2 სტანდარტის მიხედვით. გაიცა შესაბამისობის რეკომენდაციები იგივე ინდიკატორებზე (2.2.1.1 და 2.2.1.3).

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯმა მოიზიდა 27 ახალი პროფესიული განათლების მასწავლებელი და არცერთი მათგანის დატვირთვა არ აღემატება 40 საათს კვირაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს "სქილვილისთვის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „IT ინფრასტრუქტურის მართვა“, „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“, „Front-end პროგრამირება“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 52-ე და 56-ე მუხლების შესაბამისად, შპს "სქილვილს (ს/კ: 406258730) დანართით განესაზღვრულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 400 - ით, „IT ინფრასტრუქტურის მართვა“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 600 - ით , „Front-end პროგრამირება“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 520 - ით, „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგი“ გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 400 - ით (დანართი 4).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 26 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს „სქილვილში“ „IT ინფრასტრუქტურის მართვის“, „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპინგის“, „Front-end პროგრამირების“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2.2 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს ექსპერტთა ადგილზე ვიზიტი ორივე ლოკაციაზე ორივე ლოკაციაზე (ბოჭორმას ქუჩა №16; დადიანის ქუჩა №30). მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 28 ოქტომბერი.

მეხუთე საკითხი: შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლება" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარეს ელენე კაკაბაძეს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ჰქონდა თვითაცილება. სხდომის თავმჯდომარედ განისაზღვრა ხათუნა ჩხარტიშვილი.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- კი

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხარტიშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვალერი ჯაჯანიძემ, წარმოადგინა დეტალური პრეზენტაცია პროგრამის „საექთნო განათლება“ შესახებ.

ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 27 ივლისს, მისამართზე: თრიალეთის ქუჩა №40.

პროგრამა წარმოადგენს მე-5 დონის უმაღლეს პროფესიულ კვალიფიკაციას საექთნო საქმეში. განხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში, კოოპერაციული მიდგომით. ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 60 პროფესიული სტუდენტით (2 ჯგუფი, 30-30).

პროგრამა შეფასდა სრულად შესაბამისად მე-2 სტანდარტის მიხედვით. ხარვეზები და რეკომენდაციები არ გამოვლინდა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯს აქვს ხელშეკრულებები წამყვან კლინიკებთან:

- ჯეო ჰოსპიტალსი (150 სტუდენტის მიღების შესაძლებლობით)
- კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტი (150 სტუდენტი)
- დავით თავდადებულის კლინიკა (150 სტუდენტი)
- თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი (150 სტუდენტი)

გამოყოფილია 2 სასწავლო გარემო: ერთი თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის (ავადმყოფის მოვლა-შემოვლა), მეორე კომპიუტერული კლასი. ორივე აუდიტორია აღჭურვილია 31 ადგილით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ თავდაპირველად გეგმავდნენ 150 სტუდენტის მიღებას, მაგრამ პილოტირების მიზნით გადაწყვიტეს 60 სტუდენტით დაწყება. ასევე დაადასტურა, რომ დაგეგმილია მასწავლებლების რეგულარული ტრენინგები სწავლებისა და შეფასების მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თავისუფალი ხედვის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საექთნო განათლება" დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს თავისუფალი ხედვის აკადემიას (ს/კ: 406460235) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო განათლება“ (დანართი 5).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 26 აგვისტო.

საბჭოს სხდომა გამოცხადდა დახურულად 16:22 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
ჩხარტიშვილი ხათუნა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია



დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა N21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	მეფუტკრეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეფუტკრეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	მეხილეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მეხილეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0811
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116

პროგრამის სახელწოდება	აგრარული ტექნიკის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აგრარული ტექნიკის შეკეთებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	145
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	მებაღეობა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	9
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	მევენახეობა და მეღვინეობა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მევენახეობა და მეღვინეობაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0888
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სატყეო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სატყეო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0821
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქ. №21
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	20
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

პროგრამის სახელწოდება	სასტუმრო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით <i>(არსებობის შემთხვევაში)</i>	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	132
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

პროგრამის სახელწოდება	ხის მხატვრული დამუშავება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ხის მხატვრულ დამუშავებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0214
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	79
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

პროგრამის სახელწოდება	რძის პროდუქტების წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0721
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	-
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

პროგრამის სახელწოდება	ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთის რაიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
